ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 12.02.2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №2

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღნაგობის უფლებით სს „ნენსკრაჰიდროსთვის" გადაცემის თაობაზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 54–ე მუხლის 1–ლი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლისა და სს „ნენსკრაჰიდროს" 20.11.2020 წლის რეგ. N1774 წერილის საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერს, უსასყიდლოდ, აღნაგობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს სს „ნენსკრაჰიდროს" (ს/ნ: 405112220) მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჭუბერის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დანართი №1 - ით გათვალისწინებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.
2. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54–ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მისამართი: ქ. ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ანართი 1

ამშენებლო ობიექტი	N	საკადასტრო კოდი	ფართობი (კვ.მ)	მიწის მესაკუთრე	მისამართი	დამატებითი ინფორმაცია
ტომობილო ზა LE-10	1	42.15.36.062	3077	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი მესტია, ჭუბერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ტიტა	მიწის ნაკვეთები წარმოადგენს არსებულ საავტომობილო გრუნტის გზას სოფელ ტიტაში, ტიტა-სგურიშის დამაკავშირებელი ხიდიდან ტიტას დასახლებულ პუნქტამდე არ მისული და არ მოიცავს კერძო საკუთრებას ან რაიმე კომპენსაციას დაქვემდებარებულ ობიექტს. პროექტის მიერ დაგეგმილია როგორც აღნიშნული გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ასევე 35 კვტ.-იანი ელ. გადამცემი ხაზის მოწყობა (ელ. გადამცემი ხაზი წარმოადგენს ბეტონის ბოზებზე დაკიდებულ იზოლირებულ კაბელს), მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვების ფარგლებში, რომლის აუცილებელი პირობაა მშენებელი კომპანიის მიერ, მიწაზე სარგებლობის იურიდიული უფლების ქონა, რის შესაბამისადაც იქნა მოთხოვნილი მიწების აღნაგობის 2 წლიანი უფლებით გადმოცემა.
	2	42.15.36.056	322	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	
	3	42.15.36.050	1189	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი მესტი, ადმინისტრაციული ერთეული ჭუბერი, სოფელი ტიტა	
	4	42.15.36.060	5166	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	
	5	42.15.36.061	9686	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	
	6	42.15.36.059	3079	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	
	7	42.15.36.057	1523	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭუბერი	
	8	42.15.36.063	3578	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტი მესტია, ჭუბერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ტიტა	
. გადამცემი ზი (35 კვტ)	9	42.15.32.240	3738	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	რაიონი მესტია, სოფელი ჭუბერი	მიწის ნაკვეთები წარმოადგენს არსებულ საავტომობილო ბეტონის გზას სოფელ ლეკულმახეს ხიდიდან N4 ჭუბერის ამბულატორია-მდე და არ მოიცავს კერძო საკუთრებას ან რაიმე კომპენსაციას დაქვემდებარებულ ობიექტს. პროექტის მიერ დაგეგმილია 35 კვტ.-იანი ელ. გადამცემი ხაზის მოწყობა (ელ. გადამცემი ხაზი წარმოადგენს ბეტონის ბოზებზე დაკიდებულ იზოლირებულ კაბელს), მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის ფარგლებში, რომლის აუცილებელი პირობაა მშენებელი კომპანიის მიერ, მიწაზე სარგებლობის იურიდიული უფლების ქონა, რის შესაბამისადაც იქნა მოთხოვნილი მიწების აღნაგობის 2 წლიანი უფლებით გადმოცემა.
	10	42.15.33.304	20763	სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტი	მესტიის მუნიციპალიტეტი, ჭუბერის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ლეწფერი	